

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია
ეთიკის კომისია
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა
დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

თორნიკე ბაქრაძე – კოლეგიის თავმჯდომარე

მარიკა არევაძე – კოლეგიის წევრი

ცისმარი ონიანი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – რ. რ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 08.08.2019

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 102/19

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ც. მ.-ს მიმართ /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ც. მ.-სთვის “ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ” დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. საჩივრის ავტორთა პოზიცია:

- 1.1 2019 წლის 08 აგვისტოს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა რ. რ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ც. მ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.
- 1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2018 წელს მას დასჭირდა ადვოკატის მომსახურება თავის პირად საქმეზე მიწის რეგისტრაციასთან დაკავშირებით და კომპანიის საქმეზე - შრომით დავაში, რისთვისაც მიმართა თავის ყოფილ ლექტორს, ადვოკატ ც. მ.-ს.

- 1.3 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ რადგან ც. მ.-ს ეკონომიურად უჭირდა, მან დააკავშირა რამდენიმე კომპანიასთან, რომლებმაც შესთავაზეს ფინანსურად მაღალშემოსავლიანი საქმეები. ამის შემდეგ ის და ადვოკატი აპირებდნენ ერთობლივი საქმის დაწყებას.
- 1.4 2019 წლის იანვრის დასაწყისში ც. მ.-მ მას სასწრაფოდ შეხვედრა თხოვა. შეხვედრა გაიმართა საჩივრის ავტორის კუთვნილ ავტომანქანაში, რა დროსაც ადვოკატმა აცნობა, რომ აუქციონზე იაფად იყიდებოდა ბინა, გ.-ს ქუჩაზე, ბინის ფართობი - 186მ², ბინის ღირებულება შეადგენდა 40 000 აშშ დოლარს. ადვოკატმა განუმარტა, რომ რადგან რ. რ. დაეხმარა იმ დროს, როდესაც ფინანსურად უჭირდა, ამ გზით სურდა მისი სიკეთის გადახდა და დაეხმარებოდა კარგი პირობებით შეეძინა აღნიშნული ბინა.
- 1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, ბინა უნდა გაფორმებულიყო მისი ძმის, ი. რ.-ს სახელზე. იმ პერიოდში ის მიდიოდა საზღვარგარეთ. წასვლის დღეს ადვოკატმა წარუდგინა შპს „აუქციონის სახლი ტ.-ს“ მიღება-ჩაბარების აქტი, რასაც ხელს აწერდა ნ. ხ.. ადვოკატმა განუმარტა, რომ შპს-ს აუქციონიდან უნდა გამოესყიდა ბინა და ამის შემდეგ შესაძლებელი იქნებოდა ბინის გადაფორმება. ბინის გადაფორმების მიზნით მან ადვოკატს გადასცა 12 000, 8 000 და 20 000 აშშ დოლარი. აღნიშნული თანხების გადახდის შემდეგ ის ელოდებოდა ბინის გადაფორმებას.
- 1.6 საჩივრის ავტორის განმარტებით, სანამ მოხდებოდა ამ ბინის გადაფორმება, ადვოკატმა კვლავ სთხოვა შეხვედრა, სადაც უთხრა რომ კიდევ ერთი ბინა იყიდებოდა კარგი პირობებით. მან უარი განუცხადა, რადგან ჯერ პირველი ბინის გადაფორმება არ დასრულებულიყო. ადვოკატმა დაარწმუნა და მან მეორე ბინის შესაძენად ბეს სახით დაუტოვა 12 000 აშშ დოლარი.
- 1.7 ბინების გადაფორმება არ მოხდა, ადვოკატმა აღნიშნული დააბრალა ვინმე ი. დ.-ს, რომელსაც თითქოს აღნიშნული პრობლემა უნდა მოეგვარებინა. ამის შემდეგ მან გამოარკვია, რომ ადვოკატის მიერ მისთვის მიტანილი მიღება-ჩაბარების აქტი იყო ყალბი. ამის შემდეგ ადვოკატმა დაუწერა ხელწერილი, სადაც ადასტურებს, რომ მისგან მიიღო 52 000 აშშ დოლარი, რის სანაცვლოდაც მისთვის უნდა გადაეფორმებინა ბინა.
- 1.8 2019 წლის 01 ოქტომბრის სხდომაზე საჩივრის ავტორმა დამატებით განმარტა, რომ კომპანიის შრომითი დავა არის აპელაციის ეტაპზე და ადვოკატმა შეწყვიტა კომპანიის მომსახურება, კომპანიის ნაწილში მას პრეტენზია არ აქვს, საჩივარი შემოტანილი აქვს არა როგორც შპს-ს დირექტორს, არამედ როგორც ფიზიკურ პირს. მას პირად საქმეზე, რომელიც ეხებოდა მიწის რეგისტრაციას, ადვოკატის მიმართ პრეტენზია არ აქვს.
- 1.9 საჩივრის ავტორის განმარტებით, აუქციონზე ბინის შეძენის საკითხთან დაკავშირებით მას ადვოკატისათვის მინდობილობა არ აქვს მიცემული. საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ამ საკითხზე მიმართული აქვს საგამოძიებო ორგანოსათვის. მას ასევე აქვს ინფორმაცია, რომ ადვოკატ ც. მ.-საგან დაზარალებული მის გარდა კიდევ არის რამდენიმე პიროვნება.

2. ადვოკატის პოზიცია:

- 2.1 ადვოკატმა ც. მ.-მ ეთიკის კომისიაში წერილობითი ახსნა-განმარტება წარმოადგინა 2019 წლის 26 აგვისტოს, სადაც განმარტა, რომ 2019 წლის სექტემბრის დასაწყისში თავის

საცხოვრებელ ბინასთან შეხვდა ი. ლ., რომელსაც იცნობდა სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან და მასთან ახლო ურთიერთობა არ ჰქონდა. მან განუმარტა, რომ მეუღლის საქმეზე სჭირდებოდა საადვოკატო მომსახურება სააპელაციო სასამართლოში.

- 2.2 ადვოკატის განმარტებით, მან ი. ლ.-ს არაერთი კონსულტაცია გაუწია უფასოდ, მათ შორის ჩამოყალიბდა მეგობრული ურთიერთობა. ი. ლ. მას დაეხმარა მისი დის ბინასთან დაკავშირებით. ოქტომბრის ბოლოს ი. ლ.-მ განუმარტა, რომ არის მაკლერი, აქვს კავშირი იპოთეკარებთან, რომლებიც მას აძლევენ აუქციონზე შეძენილ ბინებს საბაზრო ფასებისგან შედარებით იაფად და შემდეგ ის ახდენდა ბინების რეალიზაციას. ამ გზით, ი. ლ.-ს დახმარებით, მან სურდა ბინის შეძენა.
- 2.3 ადვოკატი განმარტავს, რომ რ. რ.-ს ორ საქმეში გაუწია წარმომადგენლობა, ერთი-ერთი იყო კომპანიის შრომითი დავა, რაშიც მიიღო ჰონორარი 500 ლარი. მეორე საქმე, რომელიც ეხებოდა მიწის ნაკვეთის რეგისტრაციას, მან აწარმოა უფასოდ.
- 2.4 ადვოკატი განმარტავს, რომ როგორც მეგობარს, მან რ. რ.-ს გაუზიარა, რომ მოაგვარა ბინის საკითხი და ბინას ყიდულობდა მისაღებ ფასად. რ. რ.-ს მოეწონა ეს შესაძლებლობა და გადაწყვიტა თავადაც შეეძინა ბინები. ამის შემდეგ, ი. ლ.-სთან შეთანხმებით, მან რ. რ.-ს აჩვენა რამდენიმე ბინა. რ. რ.-მ აარჩია გ.-ს ქუჩაზე მდებარე ბინა, რომლის ფართი იყო 186 მ² და ღირებულება 40 000 აშშ დოლარი, ბინას მოყვებოდა 60 000 აშშ დოლარის იპოთეკა, რომელიც უნდა მოხსნილიყო იპოთეკარებთან მორიგების გზით. რ. რ.-მ იანვრის დასაწყისში გადაიხადა 8 000, შემდეგ 12 000 აშშ დოლარი, აუქციონის დამთავრების შემდეგ კი 20 000 აშშ დოლარი. ადვოკატი განმარტავს, რომ რ. რ.-საგან მიღებული ეს თანხები, გადასცა ი. ლ.-ს.
- 2.5 ადვოკატის განმარტებით, აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ გაიმართა აუქციონი, გ.-ს ქუჩაზე მდებარე ბინა გაიყიდა 18 400 ლარად და წამოჰყვა იპოთეკა, 60 000 აშშ დოლარი. ამ პერიოდში, სანამ ისინი ელოდებოდნენ სააღსრულებო განკარგულებას, ი. ლ.-მ მიაწოდათ ინფორმაცია, რომ გამოჩნდა კარგი ვარიანტი ავლაბარში, ამ ბინის შესაძენად რ. რ.-მ გადაიხადა 12 000 აშშ დოლარი.
- 2.6 ბინების გადაფორმება გაჭიანურდა, ამის გამო მასსა და რ. რ.-ს შორის ურთიერთობა დაიძაბა. იმის შიშით, რომ ფიზიკურად არ გასწორებოდა, მან რ. რ.-ს მისსავე კაბინეტში დაუწერა ხელწერილი, რომ მისგან ჰქონდა მიღებული 52 000 აშშ დოლარი და სანაცვლოდ მისთვის უნდა გადაეფორმებინა ბინა. ი. ლ.-მ, თავის მხრივ დაუწერა ხელწერილი, რომ თანხა მას ჰქონდა აღებული და ადვოკატი კავშირში არ იყო თანხებთან.
- 2.7 ადვოკატი განმარტავს, რომ ი. ლ.-ს მიმართ პროკურატურას მიმართა განცხადებით და ამჟამად საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება. გამოძიებასთან თანამშრომლობის ფარგლებში, მან გამოძიებას მიაწოდა მის ხელთ არსებული ინფორმაცია.
- 2.8 ადვოკატი განმარტავს, რომ ქმედება, რასაც ედავება რ. რ., არ განუხორციელებია საადვოკატო საქმიანობის ფარგლებში, შესაბამისად, მასზე ვერ გავრცელდება პროფესიული რეგულაცია.
- 2.9 2020 წლის 3 თებერვლის სხდომაზე ადვოკატმა დამატებით განმარტა, რომ გამოძიება დაიწყო მისი ინიციატივით და თავად გამოიკითხა მოწმის სტატუსით. ამ საქმეში დაზარალდა თავადაც, რადგან რ. რ.-ს მსგავსად, იყო ი. ლ.-ს კლიენტი. ი. ლ.-ს მიმართ

საჩივარი დაწერა რ. რ.-მ, ეს საჩივარი გაერთიანდა მის საქმესთან. მას აუქციონთან დაკავშირებით რ. რ.-სთვის კონსულტაცია არ გაუწევია.

3. ადვოკატის მოწმის ახსნა-განმარტება:

- 3.1 2020 წლის 27 თებერვლის სხდომაზე ადვოკატის მოწმემ ი. ლ.-მ განმარტა, რომ 2019 წლის დასაწყისში მისი მეუღლის კომპანიას სჭირდებოდა იურიდიული მომსახურება და ახლობლის რჩევით ამ საქმეზე შეხვდა ადვოკატ ც. მ.-ს, მისგან არაერთხელ მიიღო კონსულტაცია. ამ პერიოდში მათ შორის ჩამოყალიბდა მეგობრული ურთიერთობა. ც. მ.-მ შეიტყო, რომ იყო მაკლერი და გამოიჩინა ინიციატივა, სურდა თავად შეეძინა ბინა. ამავე პერიოდში მან ც. მ.-საგან გაიცნო რ. რ., რომელიც ასევე დაინტერესებული იყო ბინების მისაღებ ფასად შეძენით. გამოჩნდა ბინა, რომლის შესაძენად რ. რ.-მ გადაიხადა გარკვეული თანხა.
- 3.2 მოწმის განმარტებით, ბინის გაფორმებას სჭირდებოდა გარკვეული დრო, რის გამოც რ. რ.-ს გაუჩნდა პრეტენზია ც. მ.-სთან, რადგან მისი მეშვეობით გაიცნო ი. ლ.. მიუხედავად იმისა, რომ ც. მ. ამ საქმესთან კავშირში არ იყო. ც. მ.-მ მიმართა პოლიციას რ. რ.-სა და მის წინააღმდეგ, რადგან რ. რ. მას ავიწროვებდა და ემუქრებოდა. ამან ბინების გაფორმების პროცესი უფრო შეაფერხა.
- 3.3 მოწმის განმარტებით, რ. რ.-საგან ბინის თანხა მიიღო თავად. აღნიშნული თანხა მას გადაცემული აქვს იპოთეკარისათვის. მოწმის განმარტებით, ც. მ. და რ. რ. არიან მის მიერ დაზარალებულები.

II სამოტივაციო ნაწილი

4. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

- 4.1 ადვოკატი ც. მ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი /სიითი N/, სპეციალიზაცია - საერთო სამართალი.
- 4.2 რ. რ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2019 წლის 08 აგვისტოს.
- 4.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2019 წელს. შესაბამისად, დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის კანონით განსაზღვრული ხანდაზმულობის 5 წლიანი ვადა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2).

5. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ც. მ.-ს მიმართ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-9 მუხლის „ა“ ქვეპუნქტისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება.

6. სამართლებრივი შეფასება:

- 6.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია ადვოკატ ც. მ.-ს მიმართ გამოიხატა შემდეგში: ადვოკატს გადასცა 52 000 აშშ დოლარი, რის სანაცვლოდ აუქციონის მეშვეობით მისი ძმისა და თავის სახელზე უნდა აღრიცხულიყო კონკრეტული ბინები. ადვოკატმა თანხა მიიღო და ბინების გაფორმება არ მომხდარა.

- 6.2 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „ადვოკატი კლიენტთან თავის საქმიანობას იწყებს კლიენტთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე“.
- 6.3 კოლეგიის განმარტებით, ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა წარმოშობილად ჩაითვლება, როდესაც ორივე მხარე გამოხატავს ნამდვილ ნებას და შეთანხმდებიან საადვოკატო მომსახურების პირობებზე.
- 6.4 მხარეთა პოზიციებზე დაყრდნობითა და წარმოდგენილი საქმის მასალებით, კოლეგია დადგენილად მიიჩნევს რომ ც. მ. საჩივრის ავტორს საადვოკატო მომსახურებას მიწის რეგისტრაციასთან დაკავშირებით დავაში, ხოლო საჩივრის ავტორის კომპანიას მომსახურება გაუწია შრომით დავაში. ამ ორ დავასთან დაკავშირებით საჩივრის ავტორს ადვოკატ ც. მ.-ს მიმართ პრეტენზია არ აქვს. აუქციონის გზით ბინების შეძენასთან დაკავშირებით, ადვოკატს რ. რ.-სთვის საადვოკატო მომსახურება არ გაუწევია. მოწმის განმარტებით, ამ საქმეში რ. რ.-სთან ერთად დაზარალებული არის ც. მ.-ც.
- 6.5 საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-16 მუხლის მიხედვით „დისციპლინური წარმოების მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებით გაეცნონ საქმის მასალებს და გადაიღონ მათი ასლები, განაცხადონ აცილებები, წარადგინონ მტკიცებულებები, ეთიკის კომისიას მიმართონ შუამდგომლობებით, მისცენ ახსნა-განმარტებები და წარადგინონ საკუთარი მოსაზრებები დისციპლინური წარმოების დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე“, ხოლო ამავე დებულების მე-17 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „მტკიცებულებებს დისციპლინურ კოლეგიას წარუდგენენ მხარეები“. საპროცესო კოლეგია გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობს მხარეთა პოზიციებიდან და მათ მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან გამომდინარე.
- 6.6 კოლეგია მიიჩნევს, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე რ. რ.-მ ვერ შეძლო დაედასტურებინა, რომ მასსა და ადვოკატ ც. მ.-ს შორის ბინების აუქციონის გზით შეძენის საქმეზე წარმოიშვა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა. შესაბამისად, რადგან ც. მ.-ს არ განუხორციელებია რ. რ.-ს წარმომადგენლობა, ეთიკის კომისია მოკლებულია შესაძლებლობას შეაფასოს, მისი როგორც ადვოკატის მოქმედებები.
- 6.7 „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-9 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად: „ეთიკის კომისიის მიერ საჩივარზე წარმოება წყდება და საჩივარი არსებითად არ განიხილება, თუ საჩივარის განხილვა არ შედის ეთიკის კომისიის კომპეტენციაში“. ვინაიდან მხარეთა შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის წარმოშობა არ დადასტურდა, ეთიკის კომისიას თავისი კომპეტენციის ფარგლებში ვერ შეაფასებს ც. მ.-ს ქმედებას.
- 6.8 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების“ მე-9 მუხლის „ა“ ქვეპუნქტისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე N102/19 ადვოკატ ც. მ.-ს მიმართ /სიითი №/ შეწყდეს დისციპლინური წარმოება.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე:

/თორნიკე ბაქრაძე/

კოლეგიის წევრი:

/მარიკა არევაძე/

კოლეგიის წევრი:

/ცისმარი ონიანი/